სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/273

ქ. თბილისი 15 11 2018 წ.

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 42-ე მუხლისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სტუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრების 2018 წლის 15 ნოემბრის მომართვის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2018 წლის 05 დეკემბერს დაგეგმილი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხთან მიმართებაში, რომელიც კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად საჭიროებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან დახმარებას, დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთევან ქოქრაშვილს სტუდენტურ თვითმმართველობას გაუწიოს დახმარება არჩევნების პროცესის სრულყოფილად წარმართვაში;
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. ინფორმაციის საჯაროობის მიზნით ბრძანება განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.

რექტორი **არჩილ ფრანგიშვილი**